**საჯარო სამართლის იურიდიული პირი -**
**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**
**ბრძანება N** 01-02/141

ქ. ბათუმი 31 აგვისტო, 2021 წ.

**2021 წლის სექტემბერში ბსუ-ს აკადემიური პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ–ს წესდების მე–13 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთავლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს აკადემიური პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 02 აგვისტოს N 01-02/126 ბრძანების საფუძველზე

**ვბრძანებ:**

1. 2021 წლის სექტემბერში ბსუ-ს აკადემიური პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

1.1. დამტკიცდეს საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღები საპროცედურო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) ხათუნა ხალვაში (საქმისწარმოების (კანცელარიის) სამსახურის უფროსი, თავმჯდომარე);
ბ) დარეჯან ბარაბაძე - (საქმისწარმოების (კანცელარიის) სამსახურის მთავარი სპეციალისტი).
გ) სოფიო კახიძე - (საქმისწარმოების (კანცელარიის) სამსახურის მთავარი სპეციალისტი).
დ) დალი კახიძე - (საქმისწარმოების (კანცელარიის) სამსახურის წამყვანი სპეციალისტი).
ე) ხათუნა აფაქიძე - (იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი).
ვ) მარიამ მამულაძე - (იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი).

1.2. საპროცედურო კომისია ვალდებულია:

ა) საპროცედურო კომისიის სამუშაო ოთახში (ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის N35/32, პირველი კორპუსი, ოთახი N16) მიიღოს კონკურსში მონაწილე პირთა საკონკურსო განცხადებები, ანკეტები და შესაბამისი დოკუმენტაცია 2021 წლის 02 სექტემბრიდან 08 სექტემბრის ჩათვლით, 10 საათიდან 16 საათამდე (მატერიალური სახით წარმოდგენილი დოკუმენტაცია კომისიის მიერ მიღებული იქნეს მას შემდეგ,

bsukonkursi2021@bsu.edu.ge 2021 წლის 02 სექტემბრიდან 08 სექტემბრის ჩათვლით გადმოგზავნა და მიღება);

ბ) საპროცედურო კომისიაში მიღებული დოკუმენტაცია შესაბამის საკონკურსო კომისიას გადასცეს არაუგვიანეს 2021 წლის 08 სექტემბრის 18 სთ-სა;

გ) დარეგისტრირებული განცხადებების (საკონკურსო ადგილი და კონკურსანტები) შესახებ ინფორმაცია განათავსოს ბსუ-ს ვებგვერდზე;

დ) კონკურსანტთა საჩივრები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიიღოს საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს მე-3 სამუშაო დღისა, 10 საათიდან 16 საათამდე;

ე) ელექტრონულ მისამართზე - bsukonkursi2021@bsu.edu.ge) გადმოგზავნილი კონკურსანტთა დოკუმენტაცია შეინახოს ელექტრონულ მატარებელზე და საჭიროების შემთხვევაში მიაწოდოს საკონკურსო/სააპელაციო კომისიას.

ვ) შემოსული საჩივრები, იმავე სამუშაო დღის 17 სთ-მდე გადასცეს სააპელაციო კომისიას, მათი შემოტანიდან 3(სამი) კალენდარული დღის განმავლობაში განხილვის უზრუნველსაყოფად, მაგრამ არაუგვიანეს 2021 წლის 16 სექტემბრის 18 სთ-სა;

ზ) სააპელაციო კომისიის თხოვნის საფუძველზე, გამოცხადდეს ამ კომისიის სხდომაზე და მისცეს განმარტებები, თუკი აღნიშნული უკავშირდება კონკურსანტის მიერ გასაჩივრებულ საკონკურსო პროცედურებს;

თ) უფლებამოსილების განხორციელებისას იხელმძღვანელოს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთავლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს ბსუ-ს აკადემიური პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 02 აგვისტოს N 01-02/126 ბრძანებისა და წინამდებარე ბრძანებით.

1.3. საპროცედურო, საკონკურსო და სააპელაციო კომისიების მუშაობის პროცედურული, ორგანიზაციული და ტექნიკური მხარდაჭერის მიზნით შეიქმნას სამუშაო (საკონსულტაციო) ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) ჟანა ჯიბლაძე - თავმჯდომარე (იურიდიული დეპარტამენტის უფროსი);

ბ) გიორგი დიასამიძე (იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი).

1.4. სამუშაო ჯგუფი ვალდებულია:

ა) საპროცედურო, საკონკურსო და სააპელაციო კომისიების მუშაობის პერიოდში, 2021 წლის 02 სექტემბრიდან - 2021 წლის 16 სექტემბრის ჩათვლით (სააპელაციო კომისიის ბოლო სამუშაო დღე), გაუწიოს მათ საკონსულტაციო მომსახურება და მიაწოდოს სამუშაო მასალა (რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ფორმები);

ბ) სააპელაციო კომისიის თხოვნის საფუძველზე, გამოცხადდეს ამ კომისიის სხდომაზე და მისცეს განმარტებები, თუკი აღნიშნული უკავშირდება კონკურსანტის მიერ გასაჩივრებულ საკონკურსო პროცედურებს;

გ) უფლებამოსილების განხორციელებისას იხელმძღვანელოს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთავლის სახელმწიფო უნივერსიტეტის

აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილების, „ბსუს ბსუ-ს აკადემიური პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 02 აგვისტოს N 01-02/126 ბრძანებისა და წინამდებარე ბრძანებით.

1.5. ეთხოვოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს:

ა) უზრუნველყოფილი იქნეს საკონკურსო და სააპელაციო (არსებობის შემთხვევაში) კომისიები წინასწარ გამოყოფილი სამუშაო ოთახებით, რომლებიც აღჭურვილი იქნება შესაბამისი ინვენტარით.

ბ) განსაზღვროს საპროცედურო/საკონკურსო/ კომისიების და სამუშაო ჯგუფის წევრების შრომის ანაზღაურების ოდენობა.

2. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, საქმისწარმოების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, კომისიის წევრებს და გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (კონკურსების ველში).

3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30).

**რექტორი, ასოცირებული პროფესორი** **მერაბ ხალვაში**